KA030194212543420

№ 01-7428 **10 / ივლისი / 2020 წ.**

საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდანდევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის გიორგი
ჭავჭავაძის მოხსენებითი ბარათი

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში, ინფექციის კონტროლის ღონისძიებების შეფასებისა (ტრიაჟის სისტემა, სტანდარტული უსაფრთხოების ზომები, პერსონალის მართვის გეგმა) და პერსონალის ადგილზე კონსულტირების მიზნით, პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ადამია და, ამავე სამმართველოს ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ალისა წულაძე 2020 წლის 13-17 ივლისს მიემგზავრებიან ქ.ბათუმში, ქ. ქუთაისსა და ქ. ზუგდიდში. ეკატერინე ადამიას და ალისა წულაძის დღიური და სასტუმროს ხარჯი ანაზღაურებული იქნება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის მიერ.

გაცნობებთ, რომ 13-17 ივლისს ქ. ბათუმში, ქ. ზუგდიდსა და ქ. ქუთაისში მათი ტრანსპორტირება განხორციელდება ავტომანქანით „Toyota Camry“, სახელმწიფო ნომრით HH-234-SS (ავტომობილს მართავს ქალბატონი ეკატერინე ადამია). საწვავის ხარჯი ანაზღაურდება ჯანმოს საქართველოს ოფისის მიერ.

გთხოვთ,დაავალოთ შესაბამის სამსახურს შესაბამისი პროცედურების წარმოება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე